საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

25.06.2012№ 79

თბილისი

2012 სასწავლო წელს სტუ-ს პროფესიული
საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო
განრიგის შესახებ

,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებისა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის საფუძველზე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2012 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2012 სასწავლო წელი დაიწყოს 2012 წლის 25 ივნისს (იხ. დანართი 1,2,3);
2. სააუდიტორიო მეცადინეობები თეორიის კომპონენტში – ლექციები და სამუშაო ჯგუფში მუშაობა (პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები) ჩატარდეს:
   - 20 კრედიტის მოცულობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის – 2012 წლის 25 ივნისიდან 2012 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით (იხ. დანართი 1);
   - 30 კრედიტის მოცულობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის – 2012 წლის 25 ივნისიდან 2012 წლის 6 ოქტომბრის ჩათვლით (იხ. დანართი 2);
   - 45 კრედიტის მოცულობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის – 2012 წლის 25 ივნისიდან 2012 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით (იხ. დანართი 3).
3. პრაქტიკა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩატარდეს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შესაბამისად;
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის შუალედური ტესტირებები ჩატარდეს საუდიტორიო მეცადინეობებისა და პრაქტიკისგან თავისუფალ დროს:
   - 20 კრედიტის მოცულობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის – პირველი შუალედური ტესტირება ჩატარდეს მე-5 სასწავლო კვირაში, 2012 წლის 23 ივლისიდან 28 ივლისის ჩათვლით, ხოლო მე-2 შუალედური ტესტირება – მე-10 სასწავლო კვირაში, 2012 წლის 27 აგვისტოდან 1 სექტემბრის ჩათვლით (იხ.დანართი 1);
   - 30 კრედიტის მოცულობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის – პირველი შუალედური ტესტირება ჩატარდეს მე-6 სასწავლო კვირაში, 2012 წლის 30 ივლისიდან 4 აგვისტოს ჩათვლით, ხოლო მე-2 შუალედური ტესტირება – მე-12 სასწავლო კვირაში, 2012 წლის 10 სექტემბრიდან 15 სექტემბრის ჩათვლით (იხ.დანართი 2);
   - 45 კრედიტის მოცულობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის – პირველი შუალედური ტესტირება ჩატარდეს მე-8 სასწავლო კვირაში, 2012 წლის 13 აგვისტოდან 18 აგვისტოს ჩათვლით, ხოლო მე-2 შუალედური ტესტირება – მე-16 სასწავლო კვირაში, 2012 წლის 8 ოქტომბრიდან 13 ოქტომბრის ჩათვლით (იხ.დანართი 3).

5. სხვადასხვა მოცულობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ჩატარდეს:
   - 20 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დასკვნითი გამოცდები – 2012 წლის 17 სექტემბრიდან 2012 წლის 29 სექტემბრის ჩათვლით, დამატებითი გამოცდები – 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 13 ოქტომბრის ჩათვლით (იხ. დანართი 1);
   - 30 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დასკვნითი გამოცდები – 2012 წლის 8 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრის ჩათვლით, დამატებითი გამოცდები – 2012 წლის 22 ოქტომბრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით (იხ. დანართი 2);
   - 45 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დასკვნითი გამოცდები – 2012 წლის 12 ნოემბრიდან 24 ნოემბრის ჩათვლით, დამატებითი გამოცდები – 2012 წლის 26 ნოემბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით (იხ. დანართი 3);
6. სასწავლო კურსის წამყვანი მასწავლებელი ვალდებულია პროფესიულ სტუდენტთა ყოველკვირეული შეფასების, აგრეთვე შუალედური ტესტირების შედეგები მომდევნო ორშაბათის 17 საათამდე, ხოლო დასკვნითი ან/და დამატებითი გამოცდის (იხ. დანართი 4) შედეგები გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის შემდეგი სამუშაო დღის 17 საათამდე შეიტანოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ სტუდენტთა შეფასების ელექტრონულ უწყისში (იხ. დანართი 5,6,7);
7. სემესტრის ბოლოს სასწავლო განრიგების შესაბამისად (იხ. დანართი 1,2,3), სასწავლო კურსის წამყვანი მასწავლებელი ელექტრონული უწყისის ამონაბეჭდზე (2 ეგზ.) ხელმოწერით დაადასტურებს მონაცემებს. ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის უფლებამოსილი პირი მოახდენს უწყისის რეგისტრაციას; უწყისის ერთ ეგზემპლარს ჩააკერებს შესაბამის საქაღალდეში, ხოლო მეორე ეგზემპლარი გადაეცემა ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანატს არსებული წესის მიხედვით :
8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (ი. ლომიძე);
9. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

რექტორის მოადგილე
სასწავლო დარგში *ლ. კლიმიაშვილი*

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი *ი. ლომიძე*

იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი *ბ. მაისურაძე*

დანართი 1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მოცულობა: 20 კრედიტი) 2012 სასწავლო წლის გრაფიკი

სწავლების საფეხური	პროგრამის მოცულობა, კრედიტი ECTS	25-30 ივნისი	2-7 ივლისი	9–14 ივლისი	16–21 ივლისი	23–28 ივლისი	30 ივლისი – 4 აგვისტო	6–11 აგვისტო	13–18 აგვისტო	20–25 აგვისტო	27 აგვისტო– 1 სექტემბერი	3–8 სექტემბერი	10–15 სექტემბერი	17–22 სექტემბერი	24–29 სექტემბერი	1–6 ოქტომბერი	8–13 ოქტომბერი
კვირა		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	XIII	XIV	XV	XVI
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის I საფეხური	20	სასწავლო პროცესი				სასწავლო პროცესი, I შუალედური ტესტირება	სასწავლო პროცესი				სასწავლო პროცესი, II შუალედური ტესტირება	სასწავლო პროცესი		სესიები (დასკვნითი გამოცდები)		დამატებითი გამოცდები	

შენიშვნა: პრაქტიკა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩატარდეს სილაბუსის შესაბამისად.

დანართი 2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მოცულობა: 30 კრედიტი) 2012 სასწავლო წლის პირველი სემესტრის გრაფიკი

სწავლების საფეხური	პროგრამის მოცულობა, კრედიტი ECTS	25-30 ივნისი	2-7 ივლისი	9–14 ივლისი	16–21 ივლისი	23–28 ივლისი	30 ივლისი – 4 აგვისტო	6–11 აგვისტო	13–18 აგვისტო	20–25 აგვისტო	27 აგვისტო– 1 სექტემბერი	3–8 სექტემბერი	10–15 სექტემბერი	17–22 სექტემბერი	24–29 სექტემბერი	1–6 ოქტომბერი	8–13 ოქტომბერი	15–20 ოქტომბერი	22-27 ოქტომბერი	29 ოქტომბერი– 3 ნოემბერი
კვირა		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	XIII	XIV	XV	XVI	XVII	XVIII	XIX
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის II და III საფეხური	30	სასწავლო პროცესი					სასწავლო პროცესი I მუალედური ტესტირება	სასწავლო პროცესი						სასწავლო პროცესი, II მუალედური ტესტირება		სასწავლო პროცესი		სესიები (დასკვნითი გამოცდები)		დამატებითი გამოცდები

შენიშვნა: პრაქტიკა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩატარდეს სილაბუსის შესაბამისად.

დანართი 3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მოცულობა: 45 კრედიტი) 2012 სასწავლო წლის გრაფიკი

სწავლების საფეხური	პროგრამის მოცულობა, კრედიტი ECTS	25-30 ივნისი	2-7 ივლისი	9–14 ივლისი	16–21 ივლისი	23–28 ივლისი	30 ივლისი – 4 აგვისტო	6–11 აგვისტო	13–18 აგვისტო	20–25 აგვისტო	27 აგვისტო– 1 სექტემბერი	3–8 სექტემბერი	10–15 სექტემბერი	17–22 სექტემბერი	24–29 სექტემბერი	1–6 ოქტომბერი	8–13 ოქტომბერი	15–20 ოქტომბერი	22-27 ოქტომბერი	29 ოქტომბერი– 3 ნოემბერი	5–10 ნოემბერი	12–17 ნოემბერი	19–24 ნოემბერი	26 ნოემბერი – 1 დეკემბერი	3–8 დეკემბერი
კვირა		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	XIII	XIV	XV	XVI	XVII	XVIII	XIX	XX	XXI	XXII	XXIII	XXIV
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის III საფეხური	45	სასწავლო პროცესი							სასწავლო პროცესი, I შუალედური ტესტირება	სასწავლო პროცესი							სასწავლო პროცესი, II შუალედური ტესტირება	სასწავლო პროცესი				სესიები (დასკვნითი გამოცდები)		დამატებითი გამოცდები	

შენიშვნა: პრაქტიკა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩატარდეს სილაბუსის შესაბამისად.

დანართი 4

სტუდენტთა მიღწევების შეფასება

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტებისათვის შუალედური შეფასებები მოიცავს ორ შუალედურ ტესტირებას და ყოველკვირეულ შეფასებას*:
2. პროფესიული განათლების ყველა საფეხურის სტუდენტებისათვის ორი შუალედური ტესტირების შეფასებაა:
   - I ტესტირება – მაქსიმალური შეფასება 20 ქულა;
   - II ტესტირება – მაქსიმალური შეფასება 20 ქულა;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის ყოველკვირეული ჯამური და დასკვნითი/ დამატებითი გამოცდების შეფასებებია:
   - 20 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის 12 ყოველკვირეული ჯამური შეფასება არის 24 ქულა (2 ქულა X 12 კვირა), ხოლო დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური შეფასება კი – 36 ქულა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედური შეფასებების – ყოველკვირეული შეფასებების და შუალედური ტესტირებების – ჯამში დააგროვა 25 და მეტი ქულა, ამასთან შეასრულა სილაბუსით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი (ლაბორატორიული/ პრაქტიკული);
   - 45 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის 20 ყოველკვირეული ჯამური შეფასება არის 40 ქულა (2 ქულა X 20კვირა), ხოლო დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური შეფასება კი – 20 ქულა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედური შეფასებების – ყოველკვირეული შეფასებების და შუალედური ტესტირებების – ჯამში დააგროვა 21 და მეტი ქულა, ამასთან შეასრულა სილაბუსით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი (ლაბორატორიული/ პრაქტიკული);
   - 30 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის 15 ყოველკვირეული ჯამური შეფასება არის 30 ქულა (2 ქულა X 15კვირა), ხოლო დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური შეფასება კი – 30 ქულა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედური შეფასებების – ყოველკვირეული შეფასებების და შუალედური ტესტირებების – ჯამში დააგროვა 21 და მეტი ქულა, ამასთან შეასრულა სილაბუსით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი (ლაბორატორიული/ პრაქტიკული);
4. დასახელებული მინიმუმის შესრულების და შესაბამისი დოკუმენტური მასალის ჩაბარების აღსანიშნავად სააუდიტორიო მეცადინეობების ბოლო კვირის შეფასებების ფანჯრის გახსნასთან ერთად გაიხსნება შესაბამისი ფანჯარა (შემდგომში – დოკუმენტური მასალის ფანჯარა) სათანადო მონიშვნის გაკეთების მიზნით;

   დოკუმენტური მასალის ფანჯარა დაიხურება დასკვნითი გამოცდის ფანჯრის დახურვასთან ერთად;
5. საბოლოო დადებითი შეფასების გაფორმების მიზნით სტუდენტი არ არის ვალდებული გავიდეს დასკვნით გამოცდაზე, თუ მან შუალედური შეფასებების ჯამში დააგროვა 51 და მეტი ქულა, ამასთან შეასრულა სილაბუსით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი;
6. შუალედური შეფასებებისა და დასკვნით გამოცდაზე მიღებული შეფასების ჯამში 41-50 ქულის დაგროვებისას (FX შეფასება – ვერ ჩააბარა), სტუდენტს აქვს იმავე სასესიო პერიოდში დამატებით

გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

7. დეკანის ბრძანებით, დასკვნითი გამოცდის აღდგენის (დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის) უფლება იმავე სასესიო პერიოდში ეძლევა სტუდენტს, რომელსაც აღნიშნული გამოცდის ჩატარების დღეს ჰქონდა დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო გაცდენა; დასკვნით და დამატებით გამოცდებზე დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას სტუდენტს, სწავლების დეპარტამენტის წარდგინებით და რექტორის თანხმობით, მიეცემა გამოცდებზე გასვლის უფლება მომდევნო სემესტრის დაწყებამდე;
8. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდებს შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა. დასკვნითი და დამატებითი გამოცდების შედეგები არ ჯამდება;
9. შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამში 41-ზე ნაკლები ქულის დაგროვებისას (F შეფასება – ჩაიჭრა), აგრეთვე შუალედური შეფასებებისა და დამატებითი გამოცდის შედეგად 51-ზე ნაკლები ქულის დაგროვებისას (შეფასებები FX ან F), სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი;
10. სასწავლო პრაქტიკა, რომლის ჩატარების ვადები სააუდიტორიო მეცადინეობების ჩატარების ვადებს ემთხვევა, ისევე შეფასდება, როგორც დამოუკიდებელი სასწავლო კურსი ან მისი კომპონენტი (სილაბუსით განსაზღვრული ფორმატის შესაბამისად). პრაქტიკის შეფასებისათვის შეიძლება განსაზღვრული იყოს მინიმალური გამსვლელი ქულების რაოდენობა. სასწავლო პრაქტიკის ქულების შეტანამდე ან შესაბამისი დოკუმენტური მასალის ჩაბარების აღნიშვნამდე, საბოლოო შეფასების უჯრა, სტუდენტის მიერ სხვა კომპონენტებში დაგროვებული ქულების რაოდენობის მიუხედავად, დაბლოკილი იქნება. ასეთი სტუდენტების დასკვნით/ დამატებით გამოცდებზე გასვლის კრიტერიუმები სხვა სტუდენტების ანალოგიურია;
11. საწარმოო პრაქტიკა, რომლის ჩატარების ვადები სააუდიტორიო მეცადინეობების ჩატარების ვადებს არ ემთხვევა, შეფასდება სილაბუსში აღწერილი და სწავლების დეპარტამენტში შეთანხმებული წესით, ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად;
12. სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) პუნქტი "შეფასების სისტემა" შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციასთან;
13. მეცადინეობაზე/მეცადინეობებზე გამოუცხადებლობისას ელექტრონული უწყისის შესაბამის უჯრაში იწერება 0 (ნული), ტესტირებებსა და გამოცდებზე გამოუცხადებლობისას კი – დეფისი;
    სტუდენტის მიერ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამში არანაკლებ 51 ქულის დაგროვებისას (სათანადო დოკუმენტური მასალის ჩაბარების შემთხვევაში) საბოლოო შეფასება ავტომატურად იწერება შესაბამის უჯრაში, ხოლო დამატებითი გამოცდის უჯრა იბლოკება და მასში რაიმე მონაცემის შეტანა შეუძლებელი ხდება;
14. სასწავლო კურსის წამყვანი მასწავლებელი ვალდებულია უზრუნველყოს სათანადო სასწავლო მასალის მიწოდება და სტუდენტის მიერ ყოველკვირეული შეფასების მიღების შესაძლებლობა იმ შემთხვევაშიც, თუ სასწავლო ცხრილის მიხედვით მეცადინეობის ჩატარება ემთხვევა უქმე დღეებს; აღნიშნულის რეალიზაციისათვის დასაშვებია დამატებითი მეცადინეობების ჩატარება, თემების გადანაწილება ან სხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ნორმალურ მსვლელობას.
15. სასწავლო კურსის წამყვანი მასწავლებელი ვალდებულია შეავსოს ელექტრონული უწყისის ყველა უჯრა.

* – ყოველკვირეული შეფასებისათვის სასწავლო კურსის წამყვანი მასწავლებელი გააერთიანებს პროგრამით გათვალისწინებული ყველა სახის მეცადინეობის (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორიული და ა.შ.) მონაცემებს და აჯამებს სტუდენტის მიღწევებს ყველა კომპონენტში; თითოეულ სასწავლო კურსში სწავლის შედეგების ჯამური შეფასებაა 2 (ორი) ქულა.

დანართი 5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

. . . . . ფაკულტეტის

№ . . . . პროფესიული ჯგუფის სტუდენტთა შეფასების ელექტრონული უწყისი №

სწავლების წელი: ☐ სემესტრი: ☐ სასწავლო წელი: ☐

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური: ☐ პროგრამის მოცულობა, კრედიტი: ☐

სასწავლო კურსის დასახელება:

წამყვანი მასწავლებელი

ECTS კრედიტი: ☐ სწავლების ფორმა და კვირეული დატვირთვა, სთ: ☐ ლექცია: ☐ პრაქტიკული: ☐ ლაბორატორიული: ☐ პრაქტიკა: ☐

№	გვარი, სახელი	კვირის №																		
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	სულ შუალედური შეფასებები, ქულა	13, 14	15, 16	საბოლოო შეფასება, ქულა*	შენიშვნა
		შუალედური შეფასებები, ქულა													გამოცდა, ქულა			
		ყოველკვირეული					I ტესტირება	ყოველკვირეული					II ტესტირება				დასკვნითი	დამატებითი		
		2	2	2	2	2	20	2	2	2	2	2	20	2	2	64	36	36	100/51	
1																				
2																				
შენიშვნა																				

სასწავლო კურსის წამყვანი მასწავლებელი	*ინიც. და გვარი*	*ხელმოწერა*	*თარიღი*	**ფაკულტეტის დეკანი**
დეპარტამენტის უფროსი	*ინიც. და გვარი*	*ხელმოწერა*	*რეგ.№*	*თარიღი*	*ინიც. და გვარი*	*ხელმოწერა*

* – შენიშვნა: მაქსიმალური შეფასება 100 ქულა/მინიმალური დადებითი შეფასება – 51 ქულა

დანართი 6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

. . . . . ფაკულტეტის

№ . . . . პროფესიული ჯგუფის სტუდენტთა შეფასების ელექტრონული უწყისი №

სწავლების წელი: ☐ სემესტრი: ☐ სასწავლო წელი: ☐

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური: ☐ პროგრამის მოცულობა, კრედიტი: ☐

სასწავლო კურსის დასახელება:

წამყვანი მასწავლებელი

ECTS კრედიტი: ☐ სწავლების ფორმა და კვირეული დატვირთვა, სთ: ☐ ლექცია: ☐ პრაქტიკული: ☐ ლაბორატორიული: ☐ პრაქტიკა: ☐

| № | გვარი, სახელი | კვირის № | | |

დანართი 7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

. . . . . ფაკულტეტის

№ . . . . პროფესიული ჯგუფის სტუდენტთა შეფასების ელექტრონული უწყისი №

სწავლების წელი: ☐ სემესტრი: ☐ სასწავლო წელი: ☐

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური: ☐ პროგრამის მოცულობა, კრედიტი: ☐

სასწავლო კურსის დასახელება:

წამყვანი მასწავლებელი

ECTS კრედიტი: ☐ სწავლების ფორმა და კვირეული დატვირთვა, სთ: ☐ ლექცია: ☐ პრაქტიკული: ☐ ლაბორატორიული: ☐ პრაქტიკა: ☐

№	გვარი, სახელი	კვირის №																						
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	სულ შუალედური შეფასებები, ქულა	16, 17	18, 19	საბოლოო შეფასება, ქულა*	შენიშვნა
		შუალედური შეფასებები, ქულა																გამოცდა, ქულა			
		ყოველკვირეული						I ტესტირება	ყოველკვირეული					II ტესტირება				დასკვნითი	დამატებითი		
		2	2	2	2	2	2	20	2	2	2	2	2	20	2	2	2	70	30	30	100/51	
1																						
2																						
შენიშვნა																						

სასწავლო კურსის წამყვანი მასწავლებელი	*ინიც. და გვარი*	*ხელმოწერა*	*თარიღი*	ფაკულტეტის დეკანი
დეპარტამენტის უფროსი	*ინიც. და გვარი*	*ხელმოწერა*	*რეგ.№*	*თარიღი*	*ინიც. და გვარი*	*ხელმოწერა*